განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტრო

დიმიტრი უზნაძის N52
0102 თბილისი, საქართველო
+995 32 2200 220
pr@mes.gov.ge

17/10/2024

MES 7 24 0001337813

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს
ტერიტორიულ ორგანოს - ქალაქ საჩხერის
საგანმანათლებლო რესურსცენტრს

განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროში განსახილველად შემოსულ თქვენს N1318893 11/10/2024წ. წერილთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ სკოლამდელი და ზოგადი განათლების განვითარების დეპარტამენტის პოზიციის გათვალისწინებით, სამინისტრო არ არის წინააღმდეგი, სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს თანხმობის საფუძველზე (საჯარო სკოლამ ხსენებულ უწყებაში უნდა წარადგინოს განცხადება, რომელშიც უნდა მიეთითოს ინფორმაცია სარგებლობაში გადასაცემი ქონების შესახებ შესაბამისი მახასიათებლებით, სარგებლობაში გადაცემის სათანადო დასაბუთება, ვადა, საწყისი საფასურის ოდენობა და სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა პირობები), „სახელმწიფო ქონების განკარგვისას და სარგებლობის უფლებით გადაცემისას ელექტრონული აუქციონის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2011 წლის 10 თებერვლის N1-1/172 ბრძანების შესაბამისად, იჯარის ფორმით, აუქციონის წესით (არაუმეტეს ორი წლის ვადით, სკოლის წერილში მითითებულ დღეებსა და საათებში) გაიცეს, სსიპ - საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ორღულის საჯარო სკოლის სარგებლობაში არსებულ შენობაში მდებარე (ს/კ 35.02.48.002) 50.45 კვ.მ. ფართი მოძრავ ქონებასთან ერთად, ხოლო 145.65 კვ.მ. ფართი მოძრავი ქონების გარეშე, ნებადართული საქმიანობების განხორციელების მიზნით - იმ პირობით, თუ აღნიშნულით ხელი არ შეეშლება სასწავლო პროცესის მიმდინარეობას, სკოლა სრულყოფილად, ყოველგვარი გამონაკლისების გარეშე უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილ მოთხოვნებს, არ მოხდება სკოლის საკუთრებაში არსებული უძრავ/მოძრავი ქონების დაზიანება და დაცული იქნება მოსწავლეთა უსაფრთხოება.

ამასთან, გთხოვთ, აუქციონში გამარჯვებულ პირთან ხელშეკრულების გაფორმებისას, ხელშეკრულების ვადაზე ადრე ცალმხრივად შეწყვეტის ერთ-ერთ პირობად გაითვალისწინოთ შემდეგი გარემოებები, კერძოდ: ხელშეკრულება შესაძლებელია შეწყდეს ვადაზე ადრე თუ იგი გამოწვეულია სახელმწიფო პოლიტიკით, კანონმდებლობის ცვლილებით, განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს მოთხოვნით, სკოლაში სამშენებლო/სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებისა და კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

ასევე, გთხოვთ, გაითვალისწინოთ, რომ სარგებლობაში გადაცემის საფასური უნდა განისაზღვროს - „სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო/სარეალიზაციო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო თანხის/საწყისი სარეალიზაციო საფასურის, სარგებლობაში გადაცემის

საფასურისა და საწყისი სარგებლობაში გადაცემის საფასურის განსაზღვრის წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 სექტემბრის N570 დადგენილების შესაბამისად.

ზემოაღნიშნული ფართის/ფართების სარგებლობაში გაცემიდან 10 (ათი) დღის ვადაში უნდა წარმოადგინოთ შემდეგი დოკუმენტაცია, კერძოდ:

1. განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს და სსიპ - სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ ფართის იჯარის ფორმით სარგებლობაში გაცემის თანხმობები;
2. აუქციონის გამოცხადებისა და დასრულების დამადასტურებელი დოკუმენტი;
3. იჯარის ხელშეკრულება და მასში შესული ნებისმიერი ცვლილება (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
4. უძრავი და მოძრავი (ასეთის საჭიროების შემთხვევაში) ქონების შეფასების უფლების მქონე პირის/ორგანიზაციის დასკვნა, რაც დასტურდება აკრედიტაციის ეროვნული ცენტრის მიერ აკრედიტებული ორგანიზაციის სერტიფიკატით.

საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და
ახალგაზრდობის სამინისტრო
ეკონომიკური დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
ტაბატაძე მარიამ